N 18
11/12/2019

18-07-4-201912111522

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი 10. 12. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიიდ წარმომადენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში, 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოების თანხა შემცირდა 10418 ლარით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N2010 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან უნდა შემცირდეს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე გამოყოფილი თანხა 19655 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯი 19655 ლარით. ასევე უნდა გაიზარდოს საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი 40504 ლარით, მათ შორის სხვა ხარჯების მუხლის 5300 ლარით შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5300 ლარით.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 17000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულის საქმეთა სამსახურის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) გაიზარდოს 1000 ლარით, სპორტული ღონისძიების პროგრამა (ორგ.კოდი 05 01 02) გაიზარდოს 800 ლარით, შპს „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაეზარდოს 15000 ლარით, ხოლო ა(ა)იპ კულტურის გაერთიანების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 17500 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში. მისი თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 50000 ლარით უნდა გაიზარდოს; ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) უნდა გაიზარდოს მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად 3000 ლარით; მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი უნდა გაიზარდოს 12700 ლარით; მერიის საქონელი და მომსახურების თანხა უნდა გაიზარდოს 1000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები უნდა გაიზარდოს 7000 ლარით, ა(ა)იპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაფინანსება უნდა გაეზარდოს 20000 ლარით; ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს უნდა გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და (საახალწლო ღონისძიებების

მოწყობა) სადღესასაწულო ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 06 03) 17000 ლარი; ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით; აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმის 227 764 ლარის ზრდის ხარჯზე, ასევე უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის შემოსავლების გეგმების დაზუსტება: საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი შემცირდეს 60 000 ლარით, უცხოურ ქონებაზე გადასახადი 100 600 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 275 900 ლარით, აღნიშნული შემცირებები განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 90 000 ლარით და არასასოფლო დანიშნულების მიწის 329 400 ლარით და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის 17 100 ლარით ზრდის ხარჯზე. სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წინადადების საფუძველზე უნდა განხორციელდეს შემდეგი პროგრამების შემცირება, კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამა 475 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 350 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტის პროგრამა 520 ლარით, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 1500 ლარით, შშმ პირების სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 2300 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 400 ლარით, ხოლო აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად 3850 ლარით; სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის 1695 ლარი. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლას დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში ხელფასის ფონდის 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლის 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლის 102 ლარით შემცირების ხარჯზე 2613 ლარით გაეზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N182 წერილის თანახმად ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი უნდა შემცირდეს 4000 ლარით, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების (ორგ.კოდი 03 04) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 2600 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 1920 ლარით და საქონელი და მომსახურება გაიზარდოს 700 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივები 3700 ლარით და გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 1500 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 7000 ლარით, სასაფლაოს მოვლა-პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს 3020 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 3190 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარით შემცირების ხარჯზე, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 4600 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურება 4600 ლარით. ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 8000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 8000 ლარით. ბიუჯეტში

შესაბამისი ცვლილებები ასახული უნდა იქნეს როგორც შემოსავლის ისე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსების 50 000 ლარით გაზრდით მხოლოდ ძველი დავალიანებები დაიფარება, თუ ახლი ღონისძიებებიც დაფინანსდება.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ეს თანხები მოხმარდება უკვე გაწეული დახმარების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დასძინა, რომ ამ პროგრამით ისარგებლებს ასევე გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებიც.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების დასუფთავებისთვის გამოყოფილია ფინანსები და კარგი იქნება, თუ სოფელ შუხუთში არსებული ორი სასაფლაოს დასუფთავებისთვისაც გამოიყოფა თანხები, რადგან ,,ლელო“-ს ღონისძიების დასასრულს ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოსულ სტუმრებთან ერთად პატივისცემის ნიშნად ბურთი მიაქვთ სასაფლაოზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ყველა სასაფლაოსთვის უნდა გამოიყოს თანხები, რასაც ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გაწვდება და ამიტომ ,,ლელო“-ს ღონისძიებისთვის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს ამ მომსახურებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადეგნილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 18 (10.12.2019)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო